ჭეშმარიტად, ადამიანთა შორის ყველაზე უარესნი ისინი არიან, ვისაც აღსასრულის საათი ცოცხლებს მოუსწრებს, და ისინი, ვინც საფლავებს თაყვანისცემის ადგილებად აქცევს

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან, რომელმაც თქვა: გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «ჭეშმარიტად, ადამიანთა შორის ყველაზე უარესნი ისინი არიან, ვისაც აღსასრულის საათი ცოცხლებს მოუსწრებს, და ისინი, ვინც საფლავებს თაყვანისცემის ადგილებად აქცევს».

[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა აჰმადმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს ყველაზე უარეს ადამიანებზე. ესენი არიან ისინი, ვისაც აღსასრულის დღე ცოცხლებს მოუსწრებს, ასევე ისინი, ვინც საფლავებს თაყვანისცემის ადგილებად აქცევს, ლოცვებს აღავლენს მათთან ახლოს ან მათი მიმართულებით.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3375